პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977
ოთხშაბათი
27
აპრილი
№ 98
(16838)
ფასი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებო! ახალგაზრდობის დამრიგებლებო! გაუზიარეთ ჭაბუკებს თქვენი ცოდნა და ჭაბუკებს თქვენი ცოდნა და მოცდილება, აქტიური მონაწილეობა მიიღეთ საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითის ტრადიციებზე ახალგაზრდა თაობის აღზრდაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

ალვზარდოთ კომუნიზმის მშენებელთა ღირსეული ცვლა

საქართველოს სსრ მასწავლებელთა IV ყრილობის დელეგატების მიმართვა რესპუბლიკის საზოგადოებრიობისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს სსრ მასწავლებელთა IV ყრილობა განსაკუთრებული მოვლენაა რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობის ცხოვრებაში, რადგან მისი მუშაობა, გადაწყვეტილებები, მის მიერ დასახული გზები ერთნაირად საგულისხმო და საყურადღებოა ყველა მშრომელისათვის. ამასთან, იგი ისეთ ვითარებაში მიმდინარეობს, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა და მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ახალი ამოცანები დაუსახა სკოლას — მან ისე უნდა აღზარდოს ახალგაზრდობა, რომ, ცხოვრების ფართო გზაზე გასულნი, მტკიცედ ფლობდნენ მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციის მძლავრ ნაკადში გარკვევის უნარ-ჩვევებს, შეეძლოთ ცოდნის დამოუკიდებლად შევსება-გაღრმავება, ახასიათებდეთ კომუნისტური მაღალი იდეურობა, ჰქონდეთ აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია. ამ ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა კომპლექსური აღზრდელობითი საქმიანობა, რაც იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მტკიცე ერთიანობას გულისხმობს.

პარტიის XXV ყრილობამ სკოლისაგან მოითხოვა სწავლებისა და აღზრდის მეთოდები შეუსაბამოს თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნებს, რაც მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრებასთან, თანამედროვეობასთან სკოლის მჭიდრო კავშირით არის შესაძლებელი. ეს არ არის ვიწრო პედაგოგიური ამოცანა, იგი ფართო საზოგადოებრიობის განუწყვეტელი ზრუნვის საგანია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკომპრომისო ბრძოლამ ჩვენი ცხოვრებისათვის უცხო, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რომლებსაც ახლო წარსულში ჰქონდა ადგილი, გადამწყვეტი როლი შეასრულა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეშიც და დასაბამი მისცა იმ დიდ მუშაობას, რამაც ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აიყვანოს. ეს აღინიშნა კიდეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ.

ამ ბრძოლაში, რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად, პარტიას მხარში უდგას საქართველოს მასწავლებლობა.

ამჟამად ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ ახალგაზრდამ სკოლის კედლებში მარტო თეორიული ცოდნა კი არ შეიძინოს, არამედ მზად იყოს ცხოვრებაში გასასვლელად, აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის. ამ მხრივ სკოლას ერთგული მოკავშირე და დამხმარე გამოუჩნდა რესპუბლიკის საწარმოთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, შრომითი კოლექტივების სახით. დღეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები, სადაც თქვენი შვილები, შვილიშვილები, მათი თანატოლები შინაარსიან და გონივრულ დასვენებას კარგად უხამებენ შრომას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ამით მოსწავლე ახალგაზრდობას თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ხუთწლეულის დიადი გეგმების განხორციელებაში. სწორედ ასეთ შრომაში ვლინდება, სათავეს იღებს და იხვეწება მოზარდი თაობის მოქალაქეობრივი სულისკვეთება, შეგართება, პოზიცია. ყოველივე ეს ხელს უწყობს მის სულიერ და ფიზიკურ წრთობა-გაკაჟებას, ეხმარება მომავალი შრომითი საქმიანობის მართებულ, სწორ ორიენტაციაში.

სკოლისათვის, მოსწავლეთა აღზრდისათვის ასეთი ზრუნვის გამო საქართველოს მასწავლებლობა მადლობას მოახსენებს რესპუბლიკის მშრომელებს. გთხოვთ, მომავალშიც ყოველმხრივ შეუწყოთ ხელი ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის წარმატებას.

ჩვენ ღრმად გვაქვს შეგნებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ბავშვთა სწავლა-აღზრდაში გვეკისრება, მაგრამ ისიც კარგად გვეხმის, რომ მარტო სკოლის, მასწავლებლის მცდელობა არ არის საკმარისი დასახული მიზნის მისაღწევად. ამიტომ მოგმართავთ თქვენ. რესპუბლიკის საზოგადოებრიობას — მშობლებს, შრომითს კოლექტივებს, ყველას, ვინც დაკავშირებულია სწავლისა და აღზრდის დიდ საქმესთან.

თანამედროვე მოზარდის სრულფასოვანი, ჰარმონიული აღზრდა-განათლება ფართო საზოგადოებრიობის საშუალებით, მამულიშვილური მოვალეობაა. სწორედ საზოგადოებრიობა დგას იმ სამკუთხედის წვეროზე, რომლის ფუძეში სკოლა და ოჯახია. ისინი მოვალენი არიან ერთობლივი მეცადინეობითა და საქმიანობით ისე აღზარდონ ყმაწვილის სული, რომ „უკან რჩეს კვალი განათლებული“.

პარტია გვასწავლის, რომ თვითეულმა მშობელმა უნდა შთაუნერგოს პირმშოს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მისი ინტერესებისათვის უყოყმანო თავგანწირვის გრძნობა. ინტერნაციონალური სულისკვეთება, კეთილშობილება და მორალური სიწმინდე, ჭალისადმი მოწიწება. უფროსის პატივისცემა. ოჯახში უნდა ეზიაროს ბავშვი უმთავრეს — შრომისმოყვარეობას. მუყაითობას. სხვისი შრომის დაფასებას, შეეძინოს სოციალისტური საკუთრების. ხახალხო დოვლათის გაფრთხილების, ყაირათიანი დამოკიდებულების თვისებები. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია მშობლის პირადი მაგალითი, განუზომელია ამ მაგალითის ძალა, რომელიც ყველაზე მეტად უნერგავს ყმაწვილებს პატიოსნებას, პრინციპულობასა და სამართლიანობას, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას, დისციპლინასა და ორგანიზებულობას.

მომავალი მოქალაქის აღზრდაში მშობელი უფრო აქტიურად უნდა დაეხმაროს და ხელი შეუწყოს სკოლას, იზრუნოს მასწავლებლის ავტორიტეტისათვის.

სამუდამოდ უნდა აღიკვეთოს დასაგმობი და გასაკიცხი ნაკლი — ეგოიზმი, რადგან იგი საზოგადოებისათვის მიუღებელი და დამღუპველი მანკიერებაა. განსაკუთრებით აღზრდის სფეროში. დაე, ნურც ერთი მშობელი ნუ იფიქრებს, რომ მხოლოდ თავისი შვილის აღზრდით მოიხდის ვალს საზოგადოების წინაშე. მისი ზრუნვის, ფიქრის, წუხილის საგანი უნდა იყოს შვილის მეგობარ-ამხანაგებიც, მათთვის უნდა შესტკიოდეს გული, იღვწოდეს მათი ზნეობრივი და ინტელექტუალური სრულყოფისათვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება მშობელი საზოგადოების ნამდვილ წევრად, მაშინ შეიძლება თქვას, რომ აღასრულა მშობლისა და მოქალაქის ვალი, რადგან, როგორც უკვდავი ვაჟა ამბობს: „ვინც ბალღებს კეთილგონიერად ზრდის, იგია აღმზრდელი და გამბედნიერებელი ერისა, ვინაიდგან სიყრმის დროს დათესილი კეთილი თესლი დიდობაში უხვად გამოიღებს ნაყოფს“.

ძვირფასო მშობლებო!

მკითხეთ საკუთარ თავს, რა გაკეთეთ იმისათვის, რომ თქვენი შვილები აღიზარდონ ჩვენი საზოგადოების ღირსეულ წევრებად? გახსოვდეთ, რომ თქვენთვის ამაზე დიდი და საპატიო მოვალეობა არ არსებობს. ისწავლეთ აღზრდა, დაეუფლეთ პედაგოგიურ ცოდნას.

ჩვენ წინაშე დგას ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — მთელი მოსახლეობის საყოველთაო პედაგოგიური განათლების ამოცანა. რესპუბლიკის მასწავლებლობა კისრულობს ამ რთული, აუცილებელი და კეთილშობილური საქმის მოთავეობას, რაშიც მტკიცე თანადგომა და დაინტერესება უნდა გამოიჩინოს ჩვენმა სამეცნიერო და შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, პრესამ, რადიოტელევიზიამ, საზოგადოება „ცოდნამ“ — ყველამ, ვისაც გული შესტკივა ბავშვისათვის, ჩვენი მომავლისათვის, და ყველაზე მეტი დაინტერესება უნდა გამოიჩინოთ თქვენ, პატივცემულო მშობლებო. ამიტომ გთხოვთ, აქტიურად მოჰკიდოთ ხელი პედაგოგიურ თვითგანათლებას, დაეუფლოთ ოჯახში ბავშვის აღზრდის მეტისმეტად რთულ, მაგრამ უაღრესად საჭირო ხელოვნებას. ეს უპირველესად საჭიროა თქვენი შვილებისათვის, ჩვენი ხვალინდელი დღისათვის, აღზრდისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო!

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვს, დედ-მამასთან ერთად, მთელი ქვეყანა ზრდის, მთელი ქვეყანა აწვდის სულიერ საზრდოს. ამ შემთხვევაში ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს შრომითი კოლექტივების, შეფი საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი კოლექტივები, შეფები მხოლოდ სკოლისადმი მატერიალური დახმარებით არ უნდა შემოიფარგლონ. მათი ურთიერთობა სკოლებთან უნდა იქცეს თავიანთი კოლექტივის წევრების — მშობლებისა და მათი შვილების აღზრდის ეფექტიან საშუალებად. საწარმოდაწესებულებები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს სკოლისშემდგომი შრომითი საქმიანობის სწორ განსაზღვრაში, თავისუფალი დროის გონივრულ და შინაარსიან გამოყენებაში.

სკოლებისა და შრომითი კოლექტივების მტკიცე ურთიერთკავშირის განხორციელებისათვის საწარმო-დაწესებულებებში შექმნილია მშობელთა კომისიები, რომელთაც თავის დროზე აქტიური მუშაობა გაეჩაღეს ბავშვთა აღზრდის საქმეში მშობლების პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, სამწუხაროდ, ეს სასარგებლო წამოწყება უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ კოლექტივში მივიწყებულ იქნა.

საწარმო-დაწესებულებებს ბევრის გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის, პროფესიული ორიენტაციის სრულყოფისათვის. უნდა გამოინახოს საშუალებები სპეციალიზებული საწარმოო უბნების, საამქროების, სახელოსნოების შესაქმნელად, სადაც მოსწავლეები გაეცნობიან თანამედროვე ტექნიკას, ტექნოლოგიურ პროცესს, შეიძენენ საჭირო პროფესიულ ჩვევებს.

ყრილობა შრომითი კოლექტივების პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს სთხოვა აღადგინონ და ფართო გაქანება მისცენ ამ მოძრაობას.

თანამედროვე განვითარების პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სკოლებისადმი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა დახმარება.

ყრილობა მიმართავს სამეცნიერო ინტელიგენციას, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს სასხლორცეულად დაინტერესდნენ სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობით, დაეხმარონ მათ მოსწავლეთა ნიჭის, უნარის გაღვივებაში, მათი ცოდნის გაღრმავებაში, მახმარივი პროფესიული ორიენტაციის მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე დაყენებაში.

ახალგაზრდობის აღზრდის, მისი იდეური და ესთეტიკური მრწამსის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს ლიტერატურა და ხელოვნება. მწერლობამ უფრო ღრმად უნდა ჩაიხედოს სკოლის ცხოვრებაში, ხელოვნება უფრო ახლოს უნდა მივიდეს მოსწავლე ახალგაზრდობასთან.

საქართველოს სკოლა — პედაგოგები და მოსწავლეები მოწყურებული არიან თანამედროვე, ეპოქის შესატყვისი ახალგაზრდა გმირის სახეს, იმ გმირთა სახეებს, რომლებიც ქმნიან ისტორიას, ვისგანაც მაგალითი უნდა აიღოს ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ, ჩვენს ბავშვებს სჭირდებათ მეტი და უკეთესი ლიტერატურა, სიმღერა, შთამბეჭდავი სპექტაკლი და კინოფილმი.

ყრილობა მიმართავს შემოქმედებითს ინტელიგენციას, კულტურის ფრონტის ყველა მუშაკს მეტი ყურადღებით, მეტი ზრუნვით, მეტი სიყვარულით შექმნან ნაწარმოებები ყველაზე უშუალო, ყველაზე ფაქიზი, ყველაზე მომთხოვნი მკითხველის, მაყურებლისა და მსმენელისათვის — ბავშვებისათვის.

ყრილობა მადლიერებით აღნიშნავს იმ გაქანებას, რაც უკანასკნელ წლებში სასკოლო მშენებლობას ახასიათებს, მაგრამ, ამასთან, საქართველოს მასწავლებლობას მიაჩნია, რომ სკოლის წინაშე ვალში არიან სამშენებლო ორგანიზაციები. ჯერ კიდევ ითხდება ბავშვებისათვის განკუთვნილი ნაწარევად, უხარისხოდ, უგემოვნოდ აგებული შენობები მოუფერხებელი საკლასო ოთახებით, სახელოსნოებით, ხპორტული დარბაზებითა და სხვა სათავსებით, რის გამოც არ ხერხდება სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვა.

რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრილობა გადაჭრით მოითხოვს იმათგან, ვისაც კავშირი აქვს ბავშვებისათვის განკუთვნილი პროდუქციის შექმნასთან, მათ მომსახურებასთან, მეფილი ძალ-ღონე, ცოდნა, გამოცდილება მოახმარონ იმას, რომ ურყევად ხორციელდებოდეს დევიზი „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს“. დე, ახსოვდეს ყველას, როცა ლაპარაკია ბავშვზე, მისი სწავლისა და აღზრდისათვის საჭირო სასკოლო შენობაზე, წიგნსა თუ რვეულზე, მერხსა თუ სათამაშოზე, ტანსაცმელსა თუ ფეხსაცმელზე — არ არსებობს წვრილმანი და უმნიშვნელო, რადგან იგი განკუთვნილია ყველა ჩვენგანის ნებისმიერ და ზვილიშვილებისათვის, იგი საჭიროა მათი ჯანმრთელობის, სულიერი და გონებრივი წრთობისათვის.

საქართველოს სსრ მასწავლებელთა IV ყრილობა მოუწოდებს თვითეულ მოქალაქეს — საზოგადოებრივი თავშეურის ყველა ადგილი, ეზო, ქუჩა გადავაქციოთ ბავშვის აღზრდაში საიმედო მოკავშირედ. მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი ჩვენთაგანის პირადი მაგალითი იყოს საუკეთესო მიბაძვის საგანი, გვახსოვდეს, რომ აქტიური ბრძოლაა საჭირო სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დარღვევის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ, რადგან უყურადღებოდ დატოვებული სულ მცირე ანტისაზოგადოებრივი ქმედება, მისდამი გულგრილი დამოკიდებულება უცილობლივ ბადებს მოზარდის არაორგანიზებულობას, უდისციპლინობას, დანაშაულს.

ჩვენ, უფროსები, კიდევ მეტად უნდა დავირაზმით ბავშვების თავისუფალი დროის, დასვენების გონივრული ორგანიზაციისათვის, ფართოდ გავფოთ მათ კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების, თეატრების კარები. უნდა ჩავუდგეთ სათავეში ბავშვთა თვითმოქმედ გაერთიანებებს, გავითვალისწინოთ მათი ინტერესები, მისწრაფებები. ჩვენ განსაკუთრებით უნდა დავინტერესდეთ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ბავშვთა შორის სპორტული მუშაობის გაშლით, მისი მასობრიობით, მისი განვითარებით, რადგანაც მარტო სკოლა, ფიზკულტურის გაკვეთილები ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის სრულყოფილ ფიზიკურ განვითარებას, ეფექტიანად ვერ ვიბრძოლებთ უმოძრაობის წინააღმდეგ, ჩვენმა დრომ, დღევანდელმა კომფორტმა რომ მოიტანა.

ჩვენი პირადი მაგალითით, ჩვენი უშუალო მონაწილეობით შევძლოთ იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრა, რომლებზეც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიგვითითებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ, საქართველოს მასწავლებლობას, ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ სკოლის მუშაობას, ჩვენს მუშაობას ახასიათებს ესა თუ ის ნაკლი, რომელთა შესახებ ღრმა, პრინციპული საუბარი იყო რესპუბლიკის მასწავლებელთა IV ყრილობაზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის გამოსვლაში.

გვინდა დავარწმუნოთ ჩვენი საზოგადოებრიობა, მშობლები, რომ თვითეული აღმზრდელი ძალასა და ენერგიას არ დაზოგავს პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფისათვის, ცოდნის გაღრმავებისათვის, რათა ისე აღვზარდოთ მოსწავლე ახალგაზრდობა, როგორც ეს მშობელ ხალხს სურს, როგორც ამას ჩვენი საბჭოთა ქვეყანა, ჩვენი პარტია მოითხოვენ.

თქვენთან ერთად ხელიხელჩაკიდებული, ძვირფასო ამხანაგებო, ვემსახურებით დიდ და კეთილშობილურ საქმეს. მხოლოდ ახე, ამ გზით, მხოლოდ სკოლის, საზოგადოებისა და ოჯახის საერთო ძალებით გადაწყდება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანა — აღვზარდოთ ახალი ადამიანი, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი.

ღირსეული საჩუქრები დიად იუბილეს

საპირველმაისო შრომის ვახტაგე

ხუთწლეულის ადამიანები

სიმინდის უხვ მოსავალს იწვევენ ყოველწლიურად ხობის რაიონის სოფელ თორსის საბჭოთა მეურნეობა „განთიადის“ მშრომელები. წარსულ ამ კულტურის ნათესის 160 ჰექტარიდან თვითეულზე მათ მოიწიეს 50 ცენტნერი მარცვალი — თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ახლა აქ შეუდგნენ სიმინდის თესვას და განზრახული აქვთ დაამთავრონ იგი მოკლე ვადაში — 10-12 დღეში. თესვაში თავი გამოიჩინეს მექანიზატორებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ინჟინერი ჯონი ხვიჩია, მიხეილ პერტია და ჯანიკო ჯგერენაია.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში ჩაბმულმა საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ყოველ ჰექტარზე მოიწიონ სულ ცოტა 55 ცენტნერი მარცვალი.

სურათზე: საბჭოთა მეურნეობის დირექტორი დავით ქირია (მარცხნივ) და მესამე აგრონომიოელების მმართველი ლავრენტი შელია დათესვის წინ ამოწმებენ სიმინდის მარცვალს.

ი. ბუხრინელიძის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

გეგმა გადაჭარბებით

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი საპირველმაისო შრომითს ვახტზე

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). დადგა რა საიუბილეო წლის საპირველმაისო შრომითს ვახტზე, დღითი დღე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს დედაქალაქის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ (დირექტორი თ. ბალანჩიაძე) კოლექტივი.

პირველი აპრილიდან დღემდე მათ აწარმოეს 4.990 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზაცია უყვეს 5.170 ათასი მანეთის პროდუქციას.

მემატყლეებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად რაიონის მშრომელთა შესანიშნავ ინიციატივას, რომელიც ყოველდღიური, ყოველთვიური და ყოველკვარტალური გეგმების სისტემატურ შესრულებას თვალისწინებს, და კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს მეათე ხუთწლედის მეორე წლის პირველი კვარტალი. გეგმა 101,8 პროცენტით შეასრულეს და ნაცვლად დათვალისწინებული 25.365 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქციისა დამატებით აწარმოეს 468 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც 319 ათასი მანეთით აღემატება ვალდებულებით ნაკისრ თანხას.

ვადაზე ადრე

ფოთელთა საიუბილეო ნოგათი

ფოთი. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებითა და მეათე ხუთწლედის პირველ წელს ქალაქის სმრეწველო საწარმოთა კოლექტივების მიერ მოპოვებული წარმატებების გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაღალი შეფასებით აღფრთოვანებულმა მშრომელებმა, წელს ფართოდ გამაღეს სოციალისტური შეჯიბრება, რათა დამკვრელური შრომით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის საიუბილეო მე-60 წლისთავი.

ფოთელმა მშრომელებმა, რომლებიც მოწონებით შეხვდნენ ქალაქ ქუთაისისა და დედაქალაქის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა ინიციატივას, საიუბილეო წელს ყოველდღიური, ყოველთვიური და ყოველკვარტალური გეგმების სისტემატური შესრულებისათვის — მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. **ქალაქის მრეწველობამ ვადაზე ცხრა დღით ადრე, ვ. ი. ლენინის დაბადების დღისათვის — 22 აპრილისათვის შეასრულა ოთხი თვის გეგმა.**

ეს რეფერენდუმის აცნობა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ხაჯაიამ.

მეტი ხორცი — სამშობლოს!

თეთრწყაროელ მეცხოველეთა სასახელო საქმეები

თეთრი წყარო. (საკ. კორ.). პირად მეურნეობაში გამოზრდილი პირუტყვის ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვის კარგ მაგალითს იძლევიან რაიონის ცალკეული მუშამოსამსახურეები. სოფელ ჯორჯიაშვილის საბჭოთა მეურნეობის მწყემსმა რუბენ ლონდარიძემ სახელმწიფოს მიაყიდა 296 კილოგრამი ღორის ხორცი, საფასურად მიიღო 579 მანეთი, სოფელ დურნუკის საბჭოთა მეურნეობის მუშამ გეგორ აგამირიანმა — 233 კილოგრამი, მიიღო — 455 მანეთი, თეთრწყაროელმა მუშამ ათანასე ტოპუზოსმა — 723 კილოგრამი, მიიღო — 1.413 მანეთი, წითელწყაროელმა მძღოლმა მიხეილ ბარათოვმა — 337 კილოგრამი, მიიღო — 658 მანეთი, თეთრწყაროელმა მუშამ სარა პოპოვამ — 291 კილოგრამი, მიიღო — 569 მანეთი.

შინგაზრდილი საქონლის ხორცი მიაყიდეს სახელმწიფოს თონეთელმა მუშამ სანდრო შავშვილიმ — 300 კილოგრამი, საფასურად მიიღო 540 მანეთი; სამშვილდელმა ვართან აკოფიანმა — 446 კილოგრამი, მიიღო — 802 მანეთი, მანგლისელმა მძღოლმა შარო მაისურაძემ — 340 კილოგრამი, მიიღო — 612 მანეთი; საღრიცხვო მაგიდის გამგემ ანატოლი ივანოვმა — 240 კილოგრამი, მიიღო 432 მანეთი.

უკანასკნელი ამგეგი

საბჭოთა-კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების გამო

მიღწეულია შეთანხმება, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციები მოლაპარაკებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე განაახლებენ ჟენევაში ა. წ. 11 მაისს. გათვალისწინებულია, რომ გაგრძელდება შესაბამისი შეთანხმების ტექსტის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, რომლებსაც დელეგაციების დონეზე განიხილავდნენ. მაგრამ შეუთანხმებელი დარჩა წინანდელი მოლაპარაკების მსვლელობაში.

მხარეებმა დათქვეს აგრეთვე, რომ ჟენევაში დელეგაციების მუშაობის განახლებასთან ერთად, ისინი განაგრძობენ აზრთა გაზიარებას იმ საკითხებზე, რომლებიც შეთანხმების დადებას ეხება და სხვა დონეზე განხილვის საგანია.

ფამ ვან დონგი საფრანგეთში

პარიზი, (საკდისი). გრძელდება ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ფამ ვან დონგის ოფიციალური ვიზიტი საფრანგეთში.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა რაიმონ ბარმა გუშინ საღილი გაუმართა საპატიო სტუმარს. საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა წარმოთქმულ სიტყვაში გამოთქვა რწმენა, რომ საფრანგეთ-ვიეტნამის მოსავალი მოლაპარაკება ორ ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს განავითარონ ნაყოფიერი ურთიერთობა.

ანტისაბჭოთა გამოსვლები ეგვიპტის პრესაში

კაირო. (საკდისი). ყოველდღე ეგვიპტის პრესის მთელი რიგი ორგანოები ანტისაბჭოთა კამპანიას ეწევიან. ცდილობენ დაამახინჯონ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთის საკითხშიც. ამასთან ხშირად იმოწმებენ სხვადასხვაგვარ საეჭვო დასავლურ წყაროებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ისრაელთან და სიონისტურ წრეებთან. მათი მიზანი ცხადია, ისინი ცდილობენ შეასუსტონ არაბული ქვეყნების მოქმედების ერთიანობა იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, გათიშონ ისინი ცალკეულ დაჯგუფებებად, დაუპირისპირონ ერთი არაბული ქვეყანა მეორეს. ეს წრეები არასოდეს არ მალავდნენ თავიანთ დაინტერესებას, რომ სურთ ძირი გამოუთხარონ არაბული სახელმწიფოების კავშირს საბჭოთკავშირთან, რომელიც როგორც ცნობილია, მთელი ამ წლების განმავლობაში ყოველთვის იყო და არის არაბი ხალხების მხარეზე ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

26 აპრილი

„პრავდის“ ფურცლებზე

ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, — წერს გაზეთი მოწინავეში, სოფლის მშრომელები ცდილობენ მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მოსავალს, რათა ხუთწლედის მეორე წელს შაქრის მრეწველობას მეტი კარგი ნედლეული მისცენ. მათ უნდა დაამზადონ 88,5 მილიონი ტონა ჭარხალი და მინდვრების ათასობით ოსტატიც, ეხმაურება რა უუბანელთა თაოსნობას, მტკიცედ იბრძვის დასახული მიჯნების. მიღწევისათვის. რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, მოლდავეთში, სხვა რესპუბლიკებში სოციალისტური შეჯიბრების ბევრი მონაწილე მიზნად ისახავს — ყოველ ჰექტარზე მოიყვანოს ხუთასი ცენტნერი და მეტი ჭარხალი.

„რევოლუციის აღმშენებლობითი ძალა“ — ამ სათაურით გაზეთი აქვეყნებს ნ. ტარასენკოს რეცენზიას კრებულის — „ლენინი ოქტომბრის შესახებ“ — გამოცემის გამო.

როცა ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ვკითხულობთ კრებულში, ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა ლენინს დაუსვა კითხვა მსოფლიოს მომავლის შესახებ, ვლადიმერ ილიას-ძემ უპასუხა:

— მსოფლიოს მომავალი? მე წინასწარმეტყველი არ გახლავართ, მაგრამ ერთი რამ შემიძლია მტკიცედ ვთქვა:— ძველი წყობილება განწირულია დასალუპავად... კაცობრობის ეკონომიკა გარდაუვალად მიდის სოციალიზმისაკენ.

კრებული შეიცავს ლენინის გამოსათქვამებს იმის შესახებ, რომ ნოვატორობა და აღმშენებლობა ახასიათებს პარტიის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას. ყველაზე უფრო სრულად ისინი გამოიხატა სკკპ XXV ყრილობაზე წამოყენებულ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის შემდგომი გრძელის პროგრამით. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მტკიცედ იღვწიან ამ პროგრამის განსახორციელებლად, ამავე დროს ფხიზლად ადევნებენ თვალყურს დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა ხრიკებს, არ იგიწყებენ ლენინის ანდერძს — უნდა შეგვეძლოს რევოლუციის მონაპოვართა დაცვა.

კრებული გამსჭვალულია ლენინური ოპტიმიზმით, წერს ავტორი, — ოქტომბრის საქმე უძლეველია! ეს დიადი საქმე ცოცხლობს და მტკიცდება, გვიანლოვებს ამ დროს, როცა დედამიწის ყველა ხალხი დაამსხვრევს წარსულის სოციალურ და ზნეობრივ ბორკილებს და ახალ, ნათელ სამყაროში სოციალიზმისა და კომუნიზმის სამყაროში შევა.

მედიცინის მეცნიერებასა და ჯანმრთელობის დაცვას, ნათქვამია აკადემიკოს ო. ბაგრატინის წერილში („ეხილავი ფრონტი“), რომლებმაც ბევრი ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება მოიპოვეს, ახალი ძიება მოელით ფუნდამენტური თეორიული კვლევისა და პრაქტიკულად მისი შედეგების გამოყენების დარგში.

„პრავდის“ კორესპონდენტი გ. ლებანიძე იუწყება, („აქ ამზადებენ ოსტატებს“), რომ წლითიწლობით ფართოვდება საქართველოს საყოფაცხოვრებო სამსახურის ქსელი. ახლახან ახალი შენობა მიიღეს მოდების ატელიეებმა. აქ მოვიდა ასი სპეციალისტი — მკერავი, რომლებმაც თბილისის, ქუთაისის, რუსთავის პროფტექნიკური სასწავლებლები დამთავრეს.

— ამჟამად ჩვენს სისტემაში ექვსი ასეთი სკოლა მუშაობს, — ამბობს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ვ. სობოლევი, — აქ სხვადასხვა სპეციალობას სწავლობს 2.000-მდე ქალაშვილი და ჭაბუკი. მაღალკვალიფიციური მემოდელეების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამომჭრელების, პარიკმახერების კადრების მომზადებაში დიდ დახმარებას გვიწევენ ლენინგრადელები, რიგელები, ლვოველები, ერევნელები.

წლევანდელი წლიდან პროფტექნიკური სასწავლებლები პირველად დაიწყებენ მეთუნეების, მლებავების, მსუბუქი მანქანების შემკეთებლების მომზადებას.

ПРАВДА

აღვზარდოთ კომუნიზმის აქტიური მშენებლები

საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობა

ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობა, რომელმაც თბილისში დაამთავრა მუშაობა. პლენარულ და სექციურ სხდომებზე სამ დღეს იხილავდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საჭირბოროტო ამოცანებს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის, მოზარდი თაობის შრომისათვის მომზადების საქმეში.

ყრილობამ ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ ცხადყო, რომ რესპუბლიკის პედაგოგთა მრავალათასიანი რაზმი მზად არის კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა დირსეული ცვლის აღზრდა-განათლების ახალი წარმატებებით შეეგებოს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს.

მასწავლებელთა ყრილობები, თქვა თავის მოხსენებაში საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა **ო. ჭინჭალაძემ**, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ტრადიციული გახდა, გადაიქცა სერიოზულ მაორგანიზებელ ძალად, სკოლის ცხოვრებაზე იდეურ-პედაგოგიური ზემოქმედების მძლავრ ფაქტორად.

სწორედ ასეთ მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. ეს გამოიხატა მათს მისალმებაში საბჭოთა საქართველოს ყველა მასწავლებლისადმი. სკოლისა და სახალხო განათლების ორგანოების ყველა მუშაკისადმი. ჩვენ გამაყოფილი მაღალი შეფასებით, რომელიც მათ მისცეს სახალხო მასწავლებლის საქმიანობას და ამასთანავე ვგრძნობთ დიდ პასუხისმგებლობას ჩვენს წინაშე დასახული აზრდილი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

ამხ. ო. ჭინჭალაძემ ყრილობის მონაწილეების, სახალხო განათლების ყველა მუშაკის სახელით აღუთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მთავრობას, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა დაძლევს ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს და რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკები საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ორსეული წვლილს შეიტანენ საბჭოთა სკოლის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

ჩვენ კარგად გვესმის, თქვა შემდეგ ორატორმა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი იმით არის გამოწვეული, რომ მთლიანად რესპუბლიკისათვის წინა ყრილობის შემდეგ განვლილი წლები ერთობ რთული გამოდგა. ამ წლებში ჩვენი მუშაობა ასალი ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში ყოველთვის ვერ იყო პარტიის მოთხოვნების შესაბამისი. ამ მოვლენის მიზეზები გამოავლინა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ცნობილ დადგენილებაში „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

მასწავლებელთა მესამე რესპუბლიკური ყრილობის (1968 წ.) შემდეგ განვლილი პერიოდი მოიცავს ორ ეტაპს. რომელთაგან პირველს ამ დადგენილებაში ღრმად პრინციპული პარტიული შეფასება მიეცა.

წარსულში დაშვებული შეცდომების წინააღმდეგ ბრძოლის თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ცნობილი დადგენილების გამოტანის შემდეგ. და ეს ეტაპი წარმატებით დაგვირგვინდა. მან დადებითი გავლენა მოახდინა რესპუბლიკის სასკოლო ცხოვრებაზეც — განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებანი სახალხო განათლების სრულყოფის გზაზე.

მომხსენებელმა დაწვრილებით გააანალიზა საქართველოს მასწავლებელთა მესამე ყრილობის შემდეგ გაწეული მუშაობა, აღნიშნა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელსაც საეტაპო მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, გაფართოვდა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სპეციალური და ისეთი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელი, რომლებიც მოსწავლეებს სრულ საშუალო განათლებას აძლევენ. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების შესაბამისად ხარდაჩქმა სასკოლო პროგრამებში. მთელი მუშაობა წარმოებს 1970 წელს მიღებული სკოლის წესდების საფუძველზე.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და მთლიანად სახალხო განათლების შემდგომი სრულყოფის გზაზე ახალი ეტაპი გახდა სკკპ XXV ყრილობა და მის გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული ამოცანები — გამოვუმუშაოთ მოსწავლეებს უნარი დამოუკიდებლად იმაღლებდნენ ცოდნას, სწორად, ერკვეოდნენ მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციის მოზღვავებულ ნაკადში.

მოზარდ თაობაზე დიდი მზრუნველობის გრძნობით იყო გამსჭვალული საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა, რომელზეც სურიოზული, საფუძვლიანი სჯა-ბაასი გაიმართა საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის, რესპუბლიკის სკოლების მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების, მასწავლებელთა კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხთა შესახებ.

დღეს ჩვენი ყრილობა განიხილავს პრობლემებს, რომლებიც რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წინაშე დგას სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. მან უნდა დასახოს ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების გზები.

მინდა უდიდესი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით მოვიხსენო ისინი, ვინც ბევრი რამ გაკეთა ქართული საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარებისათვის. ესენი არიან დავით ჯანდელაკი, გაიოზ დევდარიანი, მარიამ ორახელაშვილი, ერმილე ბედია, აკაკი თოთარაშვილი, მალაქია ტოროშელიძე, კოტე ჭკუასელი, ერმილე ბურჭულაძე, გიორგი ციცანაძე, ვიქტორ კუპრაძე, როსტომ წულუკიძე, გიორგი ჯიბლაძე, თამარ ლაშქარაშვილი.

უფროსი თაობის მოღვაწეთა დამსახურებაა ის, რომ დღეს ჩვენს სკოლას ძალუძს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გადაწყვეტოს მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საქირბოროტო ამოცანები.

მომხსენებლმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რესპუბლიკაში საყოველთაო საშუალო განათლების პრობლემებს. სანამ ბავშვი სკოლის კარს შეაღებდეს, თქვა შან. ქმაღე პირველი წრთობა სკოლამდელ დაწესებულებებში უნდა ჰქონდეს განაღილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ამ დაწესებულებათა განვითარებას. 1968 წლიდან დღემდე სკოლამდელ დაწესებულებათა რაოდენობა ეზიარდა 435-ით. ხოლო აღსაზრდელთა რიცხვი — 35 ათასით. მიმდინარე წლის დამდეგს 1619 ასით დაწესებულებაში იყო 130 ათასამდე ბავშვი. ყოველწლიურად ზეთხლობით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით მოქმედებს 350-400 სიზონარი საბავშვო ბაღი და ბაგა. ხოლო ქობულეთის, ლორის, თელავის, საგარეჯოს, წითელწყაროს, ზარდაბნისა და რისპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონში ასით სკოლამდელ დაწესებულებათა ბაზაზე შექმნილია მუდმივმოქმედი სტაციონარული საბავშვო ბაღები.

ხმირად, თქვა შემდეგ ორატორმა, სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობასას ჩვენ სახსრებსა თუ საშენ მასალაში მიგაღ ვადალია სერიული და პრაქტიკული ონარი — წარმატებით ვადაწყვეტოთ ესეთი ეროვნული პოლიტიკური საკითხი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული პარტიის მიერ დასახული სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამასთან. ამ თვალსაზრისით სამაგალითონი არიან აჭარის, აფხაზეთის მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების. ლორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის, მახარაძის ჩაისა და სოფმრომპიოლი კოლტურების სამეურნეო-აღლეკვითი ინსტიტუტის, წითელწყაროს რაიონის სოფლის ჯათაურის კოლმეურნეობისა და ზოგიერთი სხვა მეურნეობის თუ დაწესებულების ხელმძღვანელები. ზოგადად რაიონის სოფლად ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებსაც, რომლებსაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ „საყოველთაო საშუალო განათლებაზე ახალგაზრდობის გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ“ გამოტანილი დადგენილებით დაავალეს უზრუნველყონ ახალგაზრდობის ჩაბმა საშუალო განათლების სისტემაში, განამტკიცონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, ორგანიზაცია გაუწიონ ბავშვების ტრანსპორტით მიყვანას სკოლებში და მათს კვებას, გააფართოონ შრომითი კოლეტივების შეფობა სკოლებისადმი, ყოველნაირად დაეხმარონ მხარი საწარმოების, მოწინავე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ინიციატივას სკოლებისა და ინტერნატების საკუთარი სახსრებით მშენებლობაში.

ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რომელიც საბჭოთა სკოლას წაუყენა სკკპ XXV ყრილობამ, — ეს იყო კომუნისტური აღზრდის შემდგომი სრულყოფის მოთხოვნა. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა გულისხმობს, პირველ რიგში, სახალხო განათლების მთელი სისტემის და, უწინარეს ყოვლისა, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომ სრულყოფას.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობა-ზედმი საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ თანამედროვე პირობებში, როცა ადამიანისათვის საჭირო ცოდნის მოცულობა მკვეთრად და სწრაფად მატულობს, უკვე შეუძლებელია მხოლოდ გარკვეული მოცულობის ფაქტების ათვისებაზე დაგამყაროთ მთავარი ამედი. საჭიროა მოსწავლეებს ჩავუნერგოთ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, რისთვისაც თვით სწავლების მეთოდები უნდა შეეუსაბამოს ცხოვრების მოთხოვნებს. გაკვეთილები ისეთი სიტუაცია უნდა შეიქმნას, რომ როცა მოსწავლე სასწავლო ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობს და ამ გზით იძენს ახალ ცოდნას, ამასთანავე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვეულებასაც ეუფლებოდეს, ეს ამით არის ნაკარნახევი, რომ ჩვენს დღეებში მეცნიერული ინფორმაციის მოცულობის ინტენსიური ზრდა ალარ უტოვებს სკოლას იმის შესაძლებლობას, რომ კურსდამთავრებულს ცოდნის საკმაო მარაგი მისცეს ხანგრძლივი პერიოდისათვის.

ამის გამო ჩვენ განვაზოგადეთ რესპუბლიკის მოწინავე მასწავლებლების გამოცდილება და მათი მოწინააღმეფნი შევადგინეთ ბილეთები გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისათვის. თუმცა ბილეთები არსებითად არ შეცვლილა და მათ მოქმედი პროგრამების მასალა უდევს საფუძვლად, შეიცვალა მხოლოდ საკითხის დაყენების ფორმა, რომელიც გულისხმობს უფრო შემოქმედებითს პასუხს, რასაც ვერ შეძლებს მოსწავლე, რომელსაც მასალა მექანიკურად აქვს დაზეპირული.

როცა მეტი მომთხოვნელობით ვეკიდებით მოსწავლეს, ჩვენ ამავე დროს მეტს ვთხოვთ მასწავლებელსაც. გაკვეთილის გეგმის შედგენისას პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს გასავითარებელი ხასიათის ათი-თხუთმეტი კითხვა და სავარჯიშო, მხედველობაში მიიღოს ყველაფერი, რაც ხელს შეუწყობს გაკვეთილზე პროგრამული სიტუაციის შექმნას, განვლილი მასალის გამეორების შესაძლებლობას, ცოდნის შემოქმედებითს დაუფლებას.

ასეთი პრაქტიკა მასწავლებლისაგან მოითხოვს საკუთარ თავზე ყოველდღიურ უუმუშობას, სპეციალობაში ცოდნის დონის ამაღლებას, მეთოდიკური ოსტატობის სრულყოფას.

ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, რათა თავიდან ავიცილოთ შეამჩნი, სასწავლო მასალის გაზეპირების მანკიერი პრაქტიკა, მოვსპოთ შპარგალკები, რომლებიც ფართოდ გავრცელდა უკანასკნელ წლებში. საოდუმლო როდია, რომ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ გამოცდებზე წერითი ნაშუშერების უმრავლესობა ტუუპისცალებიეთ ჰგავს ერთმანეთს.

მშობლიური ლიტერატურის შესწავლაში არსებითი ნაკლოვანებანი დამახასიათებელია აგრეთვე სხვა საგნებისათვის — ისტორიისათვის, საზოგადოებათმცოდნეობისათვის; ჯერ კიდევ ვერ მიგვიღწევია სასურველი გარდატეხისათვის რუსული ენის სწავლებაში, განსაკუთრებით სოფლის სკოლებში, თუმცა საამისოდ გარკვეული შესაძლებლობანი შეგვექმნა. რუსული ენის შესწავლას მაქსიმალური რაოდენობის საათები ეთმობა, შექმნილია რუსული ენის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კი ამ საკითხზე საგანგებოდ მიიღო სპეციალური დადგენილება. მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც ვერ გარდაგვიქმნია რუსული ენის სწავლება. სერიოზულად უნდა გადამუშავდეს არარუსული სკოლებისათვის განკუთვნილი რუსული ენისა და ლიტერატურის პროგრამები და სახელმძღვანელოები. უფრო ფართოდ უნდა დავნერგოთ თემატიკური დილებისა და საღამოების მოწყობა რუსულ ენაზე.

საჭიროა გამოვნახოთ პედაგოგთა გადამზადების უფრო რაციონალური ფორმები და ძირფესვიანად გავაუმჯობესოთ რუსული ენის მასწავლებელთა მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში. ამ საქმეში თავისი ტაფაკეა უნდა თქვას პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კოლეტივმა. საქართველოში პედაგოგიკის თეორიის განვითარება ჩამორჩება პედაგოგიური პრაქტიკის მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფს ცხოვრებით ნაკარნახევი პედაგოგიური პრობლემების მეცნიერულ კვლევას. დღესდღეობით ჩვენ მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნებიც კი არა გვაქვს იმის შესახებ, თუ რა მისცა ჩვენს რესპუბლიკას მოსამზადებელი კლასების შემოღებამ.

ამასთანავე, როცა სხვადასხვა ექსპერიმენტს ვაკეთებთ, ჩვენ ზოგჯერ არ ვეუმობთ ჯეროვან ყურადღებას. ეპერი მომწიფებული პრობლემის მეცნიერულ დამუშავებას. ასე მოგვივდა, მაგალითად, მეთოდიკური ლიტერატურის დარგში ახალ სასკოლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ შევძელით გამოგვეცა ორიგინალური ლიტერატურა, ის კი არა, მცირე გამონაკლისის გარდა, მეთოდიკური ლიტერატურის თარგმნაც კი ვერ მოვახერხეთ. არადა, რუსულ ენაზე მასწავლებლის დასახმარებლად გამოცემული სახელმძღვანელოები ცალკეული კურსებისათვის, დიდძალი სხვა ლიტერატურა, რომლებიც ასე სჭირდებათ ჩვენს მასწავლებლებს.

ამ საკითხში ჩვენს პედაგოგებს პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ ვაზეთი „სახალხო განათლება“ და ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“.

მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, მოსწავლეებისათვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და კლასობრივი შეგნების ჩამოყალიბების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური სამშობლოს ღალატვრო სიყვარულის ჩანერგვის საკითხებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებში აუცილებლად უნდა სწავლობდნენ ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიას, დებულებსა და დასკვნებს, რომლებიც მოცემულია ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში სკკპ XXV ყრილობაზე, სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობაზე, აგრეთვე სხვა დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტებში.

დღეს, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ჩვენს სკოლაში ყველაფერი კეთდება. რათა უზრუნველვყოთ კომპლექსური მიდგომა მთელი აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებისადმი, რომელიც იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობას გულისხმობს. მოსწავლის ცხოვრებაში სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა მონაწილეობას საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, რომლის ორგანიზაციაშიც სახალხო განათლების ორგანოებს ქმედთან დახმარებას უწევენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირული ორგანიზაციები. საზეფხულო არდადეგების პერიოდში საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებისათვის იქმნება შრომითი გაერთიანებანი, შრომისა და დასვენების ბანაკები. მარტო წარსულ „შრომითს მეთხუთეში“ მონაწილეობდა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 178 ათასი მოსწავლე. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებულმა მოსწავლეთა შრომითმა ბრიგადებმა 32 მილიონი მანეთის სამეურნეო შეასრულეს.

ბევრი რამ კეთდება ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის. მაგრამ მუშაობის ეს უბანი, ისევე როგორც იმ მოსწავლეთა ხელმეწყობა, რომლებსაც სურთ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შეეიდნენ, რათა პროფესიასთან ერთად საშუალო განათლებაც მიიღონ, ჩვენგან მეტ ყურადღებას მოითხოვს.

არსებობს სადირექტივო ორგანოების დავალება, რომ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან ერთად შეექმნათ სასწავლო საამქროები, სასკოლო და სკოლამორსული სასწავლო-საწარმოო კომბინატები, მაგრამ ეს თბილისშიც კი ვერ მოგვეხერხებია, ხოლო ადგილებზე. გულრიფშის რაიონის გარდა, ვერსად ვერ გაბოინახა შესაფერისი შენობები და ვერ მოიძებნა მზრუნველი ადამიანები, რომ მოგვარებულიყო ეს უაღრესად სასარგებლო საქმე.

მომხსენებელმა თქვა, რომ მოსწავლე აჰალგაზრდობის პოლიტიკური და ზრომითი აღზრდის შეხამების რთული პრობლემების გადაწყვეტაში სახალხო განათლების ორგანოებს დიდ დახმარებას უწევენ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები. მაგრამ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რათა კომკავშირის კომიტეტებმა და განათლების ორგანოებმა გაერთიანებული ძალებით მოუდონ ბოლო ფორმალიზმს აღსაზდელობის მუშაობაში. ალარ გადატვირთონ ბავშვები საზოგადოებრივი და სხვა არასასწავლო მუშაობით. ვინაიდან ყოველივე ეს, როგორც წესი, იწვევს აკადემიური წარმატების გაუარესებას, უარყოფითს გავლენას ახდენს ბავშვისა და ბოზარდების ჯანმრთელობაზე. სასახლო განათლების ორგანოებმა განახორციელეს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რაც ითქმა არის ნაკარნახევი, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა, მეტადრე ქალაქებში, ნაკლებად მოძრავ ცხოვრებას ეწევა. ჯანმრთელობისათვის მავნე ამ მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად განათლების სამინისტრომ სკოლებში შემოიღო ყოველდღიური გამამხნევებელი ვარჯიში, საშინაო დავალებები ფიზიკულტურაში. გამოიცა მეთოდიკური ლიტერატურა და სავალდებულო ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსები, უმარტივესი სპორტული მოედნებისა და ნაგებობების გეგმები და ა. შ.

საქართველოს კომკავშირთან ერთად სამინისტრო დიდ მუშაობას ეწევა მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის. ამჟამად 2.600-ზე მეტი სკოლა ჩაბმულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სამხედრო-პატრიოტული მუშაობის საკავშირო დათვალიერება-კონკურსში. სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში მიღწეულ წარმატებებს მაღალი შეფასება მისცა ამ ნაბიჯამ ლ. ი. ბრეჟნევმა წერილებში, რომლებიც გამოუგზავნა თბილისის 37-ე და სოხუმის მე-9 სკოლების მოსწავლეებს, აგრეთვე რუსთავის საბავშვო სახლის აღსაზდელებს.

მაგრამ, აღნიშნა მომხსენებელმა, ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიერთოთ მუშაობა, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის დიდი შესაძლებლობანი, რომლებიც მოზარდი თაობის აღზრდის ამ ფორმაშია ჩაქსოვილი.

აღმზრდელობითი პროცესის დაყენებისადმი კომპლექსურმა მიდგომამ მოითხოვა მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის პრობლემებისადმი ყურადღების მკვეთრად გაძლიერება. ახლა ჩვენ ძირითად ყურადღებას ვუთმობთ მოსწავლეებისათვის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავებას, საზოგადოებრივი საქმისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩანერგვას.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო სკოლებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის ამოცანებს. ამ თვალსაზრისით, თქვა მომხსენებელმა, სახალხო განათლების მუშაკებისათვის ამოსავალია დეზულება, რომელიც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებშია ჩამოყალიბებული. საჭიროა განვამტკიცოთ დემოკრატიული ცენტრალიზმის ორივე საწყისი — ერთი მხრივ, განვავითაროთ ცენტრალიზმი, მეორე მხრივ კი დემოკრატიული საწყისები. ადგილობრივი ინიციატივა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მიმდინარე წლის დამდეგიდან გაძლიერეთ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა, ვმუშაობთ ცენტრალური აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისათვის.

მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მასწავლებელთა კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხებს. მათს იდეურ სიმწიფეზე, მეცნიერულ ცოდნაზე, პედაგოგიურ ოსტატობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობაზე უმთავრესად დამოკიდებული სკოლის წინაშე მდგომი პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტა. კერძოდ, აღინიშნა, რომ პედაგოგთა კადრების მომზადებასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებაში ჯერ არ დამყარებულა რეალური მოთხოვნილებების შესაბამისი თანაფარდობა. სოფლად გვაკლია მათემატიკის, ფიზიკის, ენგლისის ენების მასწავლებლები. ანალოგიურად მწვავედ დგას სკოლაში მამაკაცი მასწავლებლების ნაკლებობის პრობლემა.

ამასთანავე რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში უმაღლესი განათლების პედაგოგების წლობით არიან აღრიცხვაზე და სკოლაში სამუშაოდ მიიღებს ელიან. დღეგანდელ პირობებში, როცა ადამიანისათვის საჭირო ცოდნის მოცულობა მკვეთრად და სწრაფად იზრდება, ხდება მათი დისკვალიფიკაცია. ამიტომ მომსხენებელმა დაასკვნა პედაგოგთა შრომითი მოწყობის არსებული წესის გადასინჯვის აუცილებლობის საკითხი.

ჩვენი ყრილობა, თქვა დასასრულ ო. ჭინჭალაძემ, შეიკრიბა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება თავისი სახელმწიფოს მე-60 წლის იუბილეს ზეიმით აღნიშვნისათვის. საბჭოთა საქართველოს პედაგოგიურ საზოგადოებრიობას საბჭოთა მასწავლებლების სახელოვან ინტერნაციონალურ ოჯახში სამართლიანად უჭავია ღირსეული ადგილი. იგი ემზადება მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ახალი წარმატებებით აღნიშნოს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი.

მასწავლებლის სიტყვა, მაგრამ პასუხსაგები მისიის შესახებ ილაპარაკა გორის რაიონის სოფელ შინდისის საშუალო სკოლის პედაგოგმა **ნ. სამნიაშვილმა.** მასწავლებელმა უნდა განუვითაროს მოზარდებს ფსიქიკურ-ფიზიკური ძალები, გამოიცნოს და სწორად წარმართოს თავის აღსაზრდელთა მისწრაფებანი და უნარი, გამოაწვრთოს ისინი სულიერად.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე სოფლად გრანდიოზული ცვლილებები მოხდა. ყოველ წელს შინდისის სკოლიდან ცხოვრების დიდ გზას ადგებიან ქალაქშილები და ჭაბუკები, რომლებიც ისწრაფვიან თავიანთი ენერგია მოახმარონ სოციალისტური საშობლოს კეთილდღეობას.

ორატორმა ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელსაც შინდისის სკოლისა და მთელი გორის რაიონის პედაგოგები ეწევიან პარტიის მიერ დასახული სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და მოზარდი თაობის აღზრდის გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის. სახალხო განათლების მუშაკები პრაქტიკულად ნერგავენ სწავლების ახალ პროგრესულ მეთოდებს. ფართოო ვავრცელდა ღია გაკვეთილები, ეწყობა სასკოლათშორისო ღია კარის დღეები, იხვეწება მუშაობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის დარგში.

ამასთან, სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. უნდა ამაღლდეს ზოგიერთი პედაგოგის, განსაკუთრებით პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მომზადების ხარისხი. ეფექტიანობა ეზარდოს ინდივიდუალურ-ინდივიდუალურ მუშაობას

აღვზარდოთ კომუნიზმის აქტიური მშენებლები

(დასასრული)

განმტკიცდა სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მეცხრე ხუთწლედსა და მომდინარე ხუთწლედის პირველ წელს აშენდა ახალი სკოლები და მნიშვნელები თითქმის ექვსი ათასი მოსწავლისათვის. დიდი ყურადღება ეთმობა სოფლის სკოლების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ყველა სკოლის 84 პროცენტს შეადგენენ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პედაგოგთა კადრებსა შერჩევას. დღეს ოლქის 2.276 მასწავლებლიდან 2.074 მასწავლებელს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვს.

ორატორმა დასვა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის შემდგომ სრულყოფას ეხება.

სწავლებისა და დაწყებითი კლასების ბავშვთა აღზრდის პრობლემებს მიუძღვნა გამოსვლა ორჯონიკიძის რაიონის ფარცხნალის სკოლის პედაგოგმა **ი. ბუაჩიძემ.** მან ილაპარაკა, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ დაწყებითი კლასების პედაგოგებს.

იმის მიუხედავად, რომ სოფლის სკოლების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, დაწყებითი სკოლები ჯერ კიდევ ვერ დგანან ისეთ დონეზე, რომ დაძლიონ არსებული სიძნელეები და შეესაბამებოდნენ მოთხოვნებს, რომლებიც მათ წინაშეა დასახული მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში. მათ ჯერ კიდევ სუსტი მატერიალური ბაზა აქვთ, იგრძნობა პედაგოგთა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, აკლიათ მეთოდიკური ლიტერატურა, თვალსაჩინო სახელმძღვანელოები და სწავლების ტექნიკური საშუალებანი.

ორატორმა თქვა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს დაწყებითი კლასების სასკოლო პროგრამები, სასკოლო ინვენტარის ხარისხი.

— მეცნიერის საძირკველი — თქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **ე. ხარაძემ,** — რა მწვერვალებსაც უნდა მიაღწიოს მეცნიერებაში, სკოლაა, მას, ისევე როგორც ყველას, მთელი ცხოვრების მანძილზე თან მიჰყვება სიყვარული მასწავლებლისა და დამრიგებლებისადმი.

ქართველ მეცნიერთა სახელით ე. ხარაძე მიესალმა რესპუბლიკის მასწავლებლებს და უსურვა წარმატებით შრომა და ქეყნის ღირსეულ მოქალქეთა აღზრდა. მან ილაპარაკა ღონისძიებებზე, რომლებსაც მეცნიერებათა აკადემიისა და მისი ინსტიტუტების მეცნიერები ახორციელებენ ამ საქმეში პედაგოგების დასახმარებლად. მაგალითად, უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი ინტენსიურად ამუშავებს მოსამზადებელი კლასებისათვის პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხებს, სწავლობს ბავშვთა ქცევას, დაწყებითი პროფორიენტაციის ფორმირების მოტივებს, ცალკეული დისციპლინების სწავლების მეთოდიკის რაციონალიზაციის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს და სხვ.

ორატორმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რუსული ენის სწავლების შემდგომ სრულყოფას, შეეხო ახალ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებსაც ფსიქოლოგიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტები ამუშავებენ.

აკადემიის მეცნიერები შეფობას უწევენ სკოლებს, აქტიურად მონაწილეობენ ახალი სასკოლო პროგრამების შედგენაში, რომელთა საჭიროება განაპირობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფმა ზრდამ. ბევრი პედაგოგი მომზადებული არ არის ახალი პროგრამებით მუშაობისათვის. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ეთმობა მათ გადამზადებას სპეციალურ კურსებზე. მეცნიერები მზად არიან დაეხმარონ მასწავლებლებს ამ საქმეში.

სკოლის მუშაობა ნიადაგ დგას საჩხერის რაიონის პარტიული ორგანოების ყურადღების ცენტრში, — თქვა პარტიის საჩხერას რაკომის პირველმა მდივანმა **რ. ღლონტმა.** — დიდი ყურადღება ეთმობა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას. მარტო მეცხრე ხუთწლედის მანძილზე რაიონში ამენდა გაცილებით მეტი ახალი სკოლები, ვიდრე ყველა წინა წლების მანძილზე.

სკოლას დიდ დახმარებას უწევენ შეფები — რაიონის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო საწარმოები. შედგენილია დონისძიებათა კონკრეტული გეგმა, რომლებსაც ითვალისწინებენ სკოლის დასახმარებლად საშეფო ორგანიზაციები. მაგალითად, მათ ვალდებულება იკისრეს ორი წლის განმავლობაში მოაწყონ ბუფეტები და სასადილოები რაიონის ყველა სკოლაში. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კავშირგაბმულობის სამინისტროებმა რამდენიმე შენობა გადასცეს რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურისა და სასწავლო-საწარმოო კომბინატისათვის.

ორატორი დაწვრილებით შეეხო ამოცანებს, რომლებიც სკოლის წინაშეა დასახული საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სოფლის სკოლის მასწავლებელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის მიმდინარე მუშაობის გაძლიერების პრობლემებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა განვითარდეს სკოლა-ინტერნატების ქსელი, განსაკუთრებით რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში.

მარნეულის რაიონის სახალხო განათლების მუშაკებში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხში, ღრმად შთაიბეჭდა სკკპ XXV ყრილობის იდეები და გადაწყვეტილებები, — თქვა მარნეულის № 1 აზერბაიჯანული საშუალო სკოლის პედაგოგმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა **რ. ხუდავერდ.** — რაიონში 90 სკოლაა, რომლებშიც 27 ათასზე მეტი მოსწავლეა. სწავლება მიმდინარეობა ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შეხვედრის შესახებ მარნეულის რაიონის განათლების მუშაკთა ენერგიის ახალი მოზვავება გამოიწვია. მაო ეკისრეს სწავლებისა და აღზრდის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების ახალი სოციალისტური ვალდებულებანი.

შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც განიხილა მარნეულის რაიონის ცხოვრებისა და მუშაობის კომპლექსური შემოწმების შედეგები, სერიოზული ნაკლოვანებანი აღნიშნა სკოლების მუშაობაში. ამის შემდეგ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ბევრი ნაკლი აღმოიფხვრა, მაგრამ, სამწუხაროდ ხარვეზები მაინც გვაქვს. მაგალითად რაიონის სკოლებში ჯერ კიდევ მუშაობენ დაბალი კვალიფიკაციის პედაგოგები, ბევრ სკოლა მოთავსებულია ამ მიზნით გამოუსადეგარ, მოუხერხებელ შენობებში, სადაც სიცივეროვეა. იმის მიუხედავად, რომ რაიონის საბჭოთა მეურნეობები და სამრეწველო საწარმოები, ეკონომიკურად ძლიერი არიან, ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ სკოლების მშენებლობაში.

მასწავლებელმა ილაპარაკა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის დიდ მნიშვნელობაზე. ჩვენთან კი ფიზკულტურის გაკვეთილები ბევრ სკოლაში დაბალ დონეზე ეწყობაო. — ირა ჰკავო სპეციალისტები და არა ქვეთ სახელმძღვანელოებიო, ჩანს, ამ საკითხების მოგვარების საჭიროება დიდი ხანია მომწიფდა.

ჩვენი რესპუბლიკის 19 უმაღლესი სასწავლებლიდან, — თქვა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა **ნ. ვახანძემ,** — 8 პედაგოგიურია. ამ უმაღლესმა სასწავლებლებმა აღზარდეს და საშუალო სკოლის მასწავლ ათასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

ორატორმა ილაპარაკა რესპუბლიკის წამყვანი პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლის შესახებ, რომელს ავტორიტეტი უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად ამაღლდა. დღეს ინსტიტუტში სწავლობენ 16 ეროვნების წარმომადგენლები. სწავლება მიმდინარეობს ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. პედაგოგიური ინსტიტუტების კოლექტივებს ესმით, რომ სწორედ მათ უნდა მოამზადონ ის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლებათ არა მარტო ასწავლონ ესა თუ ის საგანი, არამედ აღზრდონ კიდევ მომავალი თაობები თანამედროვეობის მოთხოვნების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად.

ამ პირობებში მომავალ პედაგოგთა აღზრდის, შრომითი საქმიანობისათვის მათი მომზადების საკითხი ეკისრება აქტიური ხდება. ამასთან, აღნიშნა ნ. ვახანძემ, ჩვენ თითქოსდა შევეჩვიეთ იმ „ბანკიერ წრეს“, რომელიც უკანასკნელ ხანს შეიქმნა და რომელზეც, სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ ვლაპარაკობთ. საქმე ის არის, რომ სკოლა ცუდად მომზადებულ კურსდამთავრებულებს გვაძლევს, ინსტიტუტიდან სუსტი პედაგოგი გამოდის, რომელიც თავის მხრივ სუსტ მოწაფეს ზრდის. აი როგორია ეს „ბანკიერი წრე“.

დადგა დრო მივადწიოთ, რომ პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში მოდიოდნენ არა ისინი, ვისაც სხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის იმედი არ აქვს, არამედ მომზადებული, საშუალო სკოლების ნიჭიერი კურსდამთავრებულები. ამისათვის უნდა გაძლიერთოთ მუშაობა პროფესიული ორიენტაციისათვის, გარდაგქმნათ პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო-აღმზრდელობითი სტრუქტურა.

სკოლისადმი საშეფო მუშაობის გაძლიერების, წარმოებასთან სკოლის ურთიერთობის განმტკიცების საჭირობოროტო საკითხებს შეეხო თავის გამოსვლაში ნობუელეთის რაიონის სოფელ ბობოყათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ა. ღლაბაშვილი.** მან თქვა, რომ კოლმეურნეობის სახსრებით შენდება სკოლა 1.380 მოსწავლისათვის, სადაც იქნება კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული და საკქო დარბაზები, საცურავი აუზი, სასადილო, საცდელი ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის. ბობოყათელებმა მხარი დაუჭირეს მეხაესტატეს კოლმეურნეობის თაოსნობას. ახალ სასწავლო წლის დამდეგიდან ადგილობრივი სკოლის მოსწავლეები უფასოდ მიიღებენ სახელმძღვანელოებს. უახლოეს მომავალში მოსამზადებელი კლასებისა და გახანგრძლივებული ჯგუფების მოსწავლეებს კოლმეურნეობის ხარჯზე უფასო კვება ექნებათ.

სკოლისადმი შეფობა მარტო მატერიალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებით როდი განისაზღვრება. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, მისი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიც არის საყოველთაო საშუალო სწავლების კანონის შესრულება, მშობლებთან ურთიერთობის დამყარება, მათი პასუხისმგებლობის ამაღლება, მუშაობა ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან და ა. შ.

სკოლის მოსწავლეები კოლმეურნეობის ხშირი სტუმრები არიან. ისინი მონაწილეობენ თეორიულ კონფერენციებში, წიგნების განხილვაში, დისპუტებში, შესვედრებს უწყობენ ომის ვეტერანებს, მოწინავე კოლმეურნეებს.

მაგრამ საშეფო მუშაობას ზოგი რამ აბრკოლებს. მაგალითად, აუთვისებელი რჩება კოლმეურნეობის მიერ თვალსაჩინო სახელმძღვანელოებისა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა შეძენისათვის გამოყოფილი თანხა, ვინაიდან მათი შოვნა ძალიან ძნელია. კოლმეურნეობას შესაძლებლობა აქვს გამოყოს სახსრები კიდევ ერთი სკოლის მშენებლობისათვის, მაგრამ ეს ვერ მოუხერხებიათ მშენებლობაზე ლიმიტების უქონლობის გამო.

—ჩვენი ხალხი დიდი აღმაფლობითა და ენთუზიაზმით ემზადება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის, — თქვა რუსთავის ბავშვთა სახლის დირექტორმა ე. კოსოვამ. — სახელოვნი იუბლეს ღირსეული შეხვედრისათვის დიდ მუშაობას ეწევა ბავშვთა სახლის კოლექტივიც.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ დიდ სიხარულზე, რომელიც რუსთავის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს მიანიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წერილმა. ეს ყველაზე დიდი ჯილდოა, თქვა მან, რომელიც კი ოდესმე მიგვიღია. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ მატნგზე მთელი ჩვენი ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები მოვიდნენ.

ლ. ი. ბრეჟნევის წერილი იმ დიდი ზრუნვის ნაწილი მაგალითია, რომელსაც ჩვენი პარტია, საბჭოთა მთავრობა იჩენენ ბავშვებისადმი.

მოზარდი თაობის აღზრდა პასუხსაგები ამოცანაა, უდიდესი ბავშვთა აღზრდა კი ორმაგად პასუხსაგები. ასეთ ბავშვებს ხომ განსაკუთრებით სჭირდებათ ალერსი, სითბო, ზრუნვა.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ბავშვთა სახლის 120 აღსაზრდელიდან არც ერთი არ არის ჩამორჩენილი, ბევრი მათგანი „ფრიადზე“ და „კარგზე“ სწავლობს, აქტიურად მონაწილეობს შრომით საქმიანობაში. ყოველი პედაგოგი ცდილობს გაუფლოვოს ბავშვებს კოლექტივიზმის, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა.

ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა საცხოვრებელი და საყოფაცხოვრები პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და მათდამი საშეფო მუშაობის გაძლიერების საკითხებს.

საქართველოს მასწავლებელთა თეოთხე ყრილობის მუშაობის ერთი დღე მთლიანად მიეძღვნა სექციურ სხდომებს. მასწავლებელთა ყრილობის მუშაობის ასეთი პრაქტიკა არსებითად ახალი ფორმაა და იმით არის გამორჩეული, რომ ყრილობაზე იხილავდნენ საბჭოთა სკოლის რიგი ამოცანებს. სექციის სხდომებზე მათმა განხილვამ ხელი შეუწყო ცალკეულ პრობლემებზე ბევრი მასწავლებლის შეხედულების გამოვლენას, შემდეგ კი ყველაზე მოწინავე, ყველაზე საღუმესო გამოცდილების განზოგადებას.

სექციების მუშაობაზე ილაპარაკა რესპუბლიკური № 1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მასწავლებელმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **მ. კობახიძემ.** მან აღნიშნა, რომ პედაგოგიკის ძირითადი პრობლემების მიხედვით დაყოფილ რვა სექციაში მოისმინეს 160 მოხსენება. მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდა სექციის თითქმის ყველა წევრი.

განხილულ პრობლემაზე ყველა სექციამ მიიღო რეკომენდაციები, რომლებსაც შემდეგ შეისწავლიან. მათ შორის საუკეთესო წინადადებებს გამოიყენებენ სკოლების მუშაობაში.

თიანეთის რაიონის განათლების მუშაკთა შრომითი ენთუზიაზმი გააძლიერა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „თიანეთის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მისი მუშაობის საკითხებს, თქვა თიანეთის რაიონის სკოლა ფულელების საშუალო სკოლის პედაგოგმა **პ. არაბულმა.**

მან ილაპარაკა სიძნელეებზე, რომლებსაც ქართველი მასწავლებლები აწყდებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როცა მთაში ებრძოდნენ უწიგნურობასა და უმეცრებას. პედაგოგებს უხდებოდათ ბრძოლა მავნე ჩვეულებების, რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ.

დღეს თიანეთის რაიონის მცხოვრებნი საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს ქმნიან. ყოველივე ეს თავისთავად როდი მოვა. ეს პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის შედეგია.

სამწუხაროდ, რაიონის პედაგოგთა მუშაობაში ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ნაკლი. მაგალითად, ღულელების საშუალო სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. სკოლაში არის მოძველებული, სახმარად უვარგისი ინვენტარი, არ გაიჩნიათ საკმარისი რაოდენობის თვალსაჩინოების ხელსაწყოები, საერთოდ არ მოეპოვებათ ტექნიკური საშუალებები, ვინაიდან სამაინსოდ არაგვითარი საჭირო პირობა არა აქვთ.

მაღალი მთის რაიონში, თქვა ორატორმა, მასწავლებლებს „კლას-კომპლექტთან“ უხდებათ მუშაობა. მუშაობა რთულია, მაგრამ მეთოდიკური დახმარება თითქმის არ იგრძნობა. საჭიროა რაც შეიძლება მალე გადაწყდეს „კლას-კომპლექტებში“ მომუშავე მასწავლებელთა მეთოდიკური ლიტერატურით უზრუნველყოფის საკითხები.

ჩვენი რაიონი რამდენიმე წელია მეგობრობს თბილისს ლენინის რაიონის მშრომელებთან. ვფიქრობ, ამ მეგობრობას საქმიანი ხასიათი უნდა მიენიჭოს, კარგი იქნება, თუ ლენინის რაიონის ორგანიზაციები იყსრებენ თიანეთის რაიონის სკოლების შეფობას. ისეთი მძლავრი სამრეწველო რაიონისათვის, როგორიც ლენინის რაიონია, ეს დიდი დატვირთვა არ იქნება, ჩვენ კი ასეთი დახმარება უთუოდ ხელს შეგვწყობდა.

სიტყვა ეძლევა ქუთაისის № 3 საშუალო სკოლის დირექტორს **თ. დახუნდარიძეს.** მან ილაპარაკა იმაზე, რომ ბავშვების აღზრდა პედაგოგისაგან უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვს.

მასწავლებელი, რომელსაც უყვარს თავისი საქმე, სულდგმულობს მით, ნიადაგ უნდა იმაღლებდეს ოსტატობას, ყოველნაირად ცდილობდეს, რომ გაკეთილი საინტერესო იყოს თვითეული მოსწავლისათვის. მან უნდა ასწავლოს თავის მოწაფეებს შემოქმედებითი აზროვნება, მოამზადოს ისინი ცხოვრებისათვის, პრაქტიკული საქმიანობისათვის, დაიინტერესოს კვლევა-ძიებით. სწორად და ეფექტიანად რომ ასწავლიდეს ბავშვებს, პედაგოგმა არა მარტო კარგად უნდა იცოდეს თავისი საგანი და დაუფლებული იყოს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, არამედ უნდა შეეძლოს კიდევ თვითეული ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების გამოვლენა.

იმისათვის, რომ გაუაზრესონ აღზრდა-განათლების ხარისხი, პედაგოგები დროზე უნდა იღებდნენ სასწავლო პროგრამებს, სახელმძღვანელოებს, დიდაქტიკურ და დამატებითს მეთოდურ ლიტერატურას. ორატორი შეეხო კლასის ხელმძღვანელობის საკითხებს, თქვა, რომ ჯეროვნად არ ვაფასებთ საკლასო დამრიგებლის ძალზე მნიშვნელოვან და უადრესად ძნელ შრომას.

ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ჭადრაკში **ნ. გაფრინდაშვილმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ფიზკულტურასა და სპორტს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რამდენადაც მოზარდი თაობის ჩამოყალიბება სკოლაში იწყება, სკოლაში ეყრება ცოდნის საფუძვლები, სწორედ სკოლაში უნდა შეეკაყვაროთ ბავშვებს ფიზკულტურა და სპორტი. მაგრამ ეს ასე როდია.

უწინარეს ყოვლისა ამაში ბრალი მიუძღვით იმ პედაგოგიურ კოლექტივებს, რომლებიც სპორტს რაღაც მეორეხარისხოვან საგნად თვლიან. სწორედ ასეთს სკოლებშია დაყენებული ძალზე ცუდად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. ორატორმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების აუცილებლობას. ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის სკოლების 70 პროცენტს სპორტდარბაზი, ხოლო სპორტსკოლების 86 პროცენტს საკუთარი ბაზა არა აქვს, თავისთავად ბევრს მეტყველებს. მწვრთნელები ხშირად ერთდროულად რამდენიმე ადგილზე მუშაობენ, ზოგჯერ ერთი და იგივე სპორტსმენი შეჯიბრებაში გამოსვლისას სხვადასხვა სპორტული სახეობებიდან ღირსებს იცავს.

ნ. გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ სპორტული ბაზების მშენებლობა რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობის საქმეა და უნდა მივესალმოთ ზოგიერთი შეფი ორგანიზაციის ინიციატივას, რომლებიც საკუთარი სახსრებით აშენებენ სპორტულ ნაგებობებს. მან მოიწოდა ყველა მსხვილ სამრეწველო საწარმოსა და დაწესებულებას, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას მიიღოს მონაწილეობა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაში.

— დღეს, — თქვა სოციალისტური შრომის გმირმა, თბილისის № 36 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა **ე. სოლომონიამ,** — რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სხვადასხვა პროფესიათა ეეფლება 45 ათასზე მეტი მოსწავლე. მუშაობა ყოველ ყოველწლიურად იღებს ჩვენგან ღირსეულ შეფასებას — მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს, ოდეურად და პოლიტიკურად მომწიფებულ ადამიანებს, რომლებსაც უნარი შესწევთ ნები შეუწყონ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. მარტო მეცხრე ხუთწლედის წლებში სახალხო მეურნეობისათვის 105 ათასი მაღალკვალიფიციური მუშა მოიზადდა.

სკკპ XXV ყრილობის შემდეგ ჩვენი ძირითადი და საპატიო ამოცანაა აღვზარდოთ სპეციალისტები სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ისეთ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც ახალგაზრდას ერთდროულად პროფესიასაც აძლევენ და საშუალო განათლებასაც. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მეათე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკა ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი გადავა სწავლებას სწორედ ასეთ სისტემაზე.

ე. სოლომონიამ ყურადღება გაამახვილა დამრიგებლობის მოძრაობაზე, რომელმაც უკანასკნელ ხანა ჩვენს ქვეყანაში ფართო გავრცელება პოვა. ძალზე საპატიოა, თქვა ორატორმა, ახალგაზრდა გადასცემდე შენს ოსტატობას, წლობით შეძენილ გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიბრძნეს.

სიტყვა ეძლევა გამომცემლობა „განათლების“ დირექტორს **ხ. ბერულავას.** იგი მიესალმა ყრილობის მონაწილეებს ქართველი მწერლებს, გამომცემლობისა და პოლიგრაფიის მუშაკთა სახელით.

საქართველოს პედაგოგები და მწერლები, მთელი ქართველი ხალხი „დედა ენის“ იუბილეს შეხვდნენ როგორც სახალხო დღესასწაულს, როგორც ღენინური ეროვნული პოლიტიკის კიდევ ერთ გამარჯვებას, თქვა ორატორმა. ეფიქრობ, ოქვენს ეკონმბებსაც გამოეხატავ, თუ კიდევ ერთხელ მოვახსენებ მადლობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ჩვენს მთავრობას საუბილეო ღონისძიებების კარგი ორგანიზაციისთვის. ეს იუბილე მრავალსმთქმელი პასუხია საზღვარგარეთელი „თავისუფლების დამცველებისადმი“, რომლებიც არავითარ ცილისწამებას არ ერიდებიან, რათა ჩირქი მოსცხონ საბჭოთა ადამიანების დიდ მეგობრობასა და ძმობას — ჩვენი ძალისა და დიადი გამარჯვებების სიფფეძველს.

არავის არ მიეცემთ ნება თაგზე აუბნიონ ჩვენს ბავშვებს, ჩვენს ახალგაზრდობას, ზიანი მიაყენონ მათს კომუნისტურ აღზრდას ჩვენი წმიდათაწმიდა ძმობის სულისკვეთებით. და თუ ჩვენ ამ ყრილობაზე ახალ საბრძოლო ამოცანებს ვისახავთ, თვითკრიტიკულად ვიფასებთ ბრძოლისა და შრომის განვლილ გზას, ეს იმიტომ არის, რომ მთელი სულითა და გულით გვსურს უკეთ შევასრულოთ პედაგოგთა კეთილშობილური ეალი. რომ ჩვენი ბავშვები უკეთესები იყვნენ, უფრო მეტად იკაშკაშოს ჩვენი სამშობლოს მზემ.

ორატორმა თქვა, რომ უახლოეს მომავალში ხელმორედ გამოიცემა 50-ათასიანი ტირაჟით „დედა ენა“ და 70 ათას ეგზემპლარად — „ბუნების კარი“, ამ დღეებში გამომცემლობა „განათლებას“ გადაეცემა თბილისის ბეჭდვის კომბინატი, რომელიც მხოლოდ სახელმძღვანელოებზე იმუშავებს. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სახელმძღვანელოების პოლიგრაფიულ და მხატვრულ შესრულებას. ამასთან ერთად საჭიროა ცალკეული სახელმძღვანელოების, განსაკუთრებით უფროსკლასელთა სახელმძღვანელოების სერიოზული გადასინჯვა.

ორატორმა აღნიშნა საქართველოს მწერალთა დიდი ყურადღება პედაგოგთა სამადლო და ძალზე პასუხსაგები შრომისადმი. მასწავლებლის ნათელი სახეები შექმნეს გალაქტიონ ტაბიძემ, გიორგი ლეონიძემ, ბეჭრმა თვალსაჩინო ქართველმა პოეტმა და პროზაიკოსმა.

სიტყვა ეძლევა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალიერი განათლების მინისტრს **გ. ჯიბლაძეს.** შევიძლია აღვნიშნოთ, თქვა მან, რომ უკანასკნელ ხანს ამაღლდა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ცოდნის დონე.

ამან დადებითი გავლენა მოახდინა უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური წარმატების დონეზეც.

როგორც ცნობილია, უმაღლესი სასწავლებელი მარტო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს კი არ ამზადებს, არამედ აქ მეცნიერთა კადრებიც იქმნება. დღეს, როცა ჩვენს რესპუბლიკაში მოწყობილმა ატესტაციამ გამოავლინა დიდძალი მასწავლებლები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს, სრული შეგნებით ვიღებთ, რომ ამაში ჩვენც მიგვიძღვის ბრალი. ჩვენ ვფიქრობთ ასეთ მასწავლებლებს, გაკრიტიკებთ მათ, მაგრამ ნაკლებად ვეხმარებით ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

უკანასკნელ ხანს გაჩნდა ბევრი ექსპერიმენტატორი, რომლებიც სხვადასხვაგვარ თეორიებს აყალიბებენ იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სწავლება ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში. რასაკვირველია, ექსპერიმენტები საჭიროა, მაგრამ არც მეტისმეტი გატაცება ვარგა.

ორატორმა ყურადღება გაამახვილა უმაღლეს სასწავლებლებში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების, განსაკუთრებით მომავალი პედაგოგების მომზადების შემდგომი სრულყოფის აქტიურ საკითხებზე.

გულრიფშის რაიონში შექმნილი რესპუბლიკაში პირველი სასკოლო სასწავლო-საწარმოო კომბინატის საქმიანობაზე იკითხა მისმა დირექტორმა **ნ. ქოთავამ,** აქ საწარმოო ცოდნას იძენს მეცხრე და მეათე კლასის დაახლოებით 550 მოსწავლე რაიონის რვა სკოლიდან.

ბავშვებთან მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ შრომითი სწავლების პროცესში მთავარი ფაქტორია დიდაქტიკური პრინციპების შემოქმედებითად გამოყენება, საგანშორისი კონტაქტების დამყარება. ქარხანა-მეურნეობისა და სასწავლო კომბინატის მუშაობისა და ურთიერთობის მაგალითით მოსწავლეები კარგად თვისებენ პროგრამით გათვალისწინებულ ეკონომიკურ ცნებებს, ეცნობიან წარმოების ეკონომიკასა და ორგანიზაციას. ისინი თეორიულად სწავლობენ სამეურნეო ანგარიშის პრინციპებსა და სხვ. ეკონომიკურ კატეგორიებს და აქტიურადაც ებმებიან, მაგალითად, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზების ძიებაში.

კომბინატს დიდ დახმარებას უწევს ბაბუშერის ხილდამამუშავებელი კომბინატი, სოხუმის საგალანტერეო ფაბრიკა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ოჯახის, მათი ძრავებისა და მანქანა-იარაღების მთელი კომპლექსის შექმნა — თქვა ქარხნის დირექტორმა რ. ჭარცვიაძემ, — აქტიალურ პრობლემად ითვლება ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტისათვის სსრ კავშირის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრის ბრძანებით, ორი წლის წინათ ქუთაისში შეიქმნა სპეციალიზებული საკონსტრუქტორო ბიურო, რომელიც წლიურ საინვარში სათავო სპეციალიზებულ საკონსტრუქტორო ბიუროდ გარდაიქმნა ბიუროს მუშაობის ფუნქცია ანისაზღვრება 5-7 ცხენისძალიანი ორთვლიანი ტრაქტორისა და თოთხმეტამეალი მოტორიზებული მანქანების. 10-12 ცხენისძალიანი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ოჯახის (სამი მოდიფიკაცია), ამ ტრაქტორებისათვის ძრავებისა და მანქანა-იარაღების დაგეგმარებით, გამოკვლევითა და წარმოებაში დანერგვით.

გარდა ამისა, ბიუროს კოორდინაციას გაუწევს ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით წარმოებულ საქმიანობას და უხელმძღვანელებს იმ საკონსტრუქტორო ბიუროებს, რომლებიც მომავალში მცირეგაბარიტიანი თვითმავალი მოტორიზებული მანქანების შექმნაზე იმუშავებენ. გადაწყვეტილია ალრეთვე, რომ წლეულს ქუთაისში შეიქმნას სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შევა მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა და საუნჯეთ-საგამოცდო სადგური, რომელიც ჩამოყალიბდება საკონსტრუქტორო ბიუროს საგამოცდო პოლიგონის ბაზაზე.

როგორც აღინიშნა, ბიუროს მუშაობას შეუდგა. იგი ძირითადად დაკომპლექტებულია ახალგაზრდებით. ჯერჯერობით აქ 120-მდე კაცი მუშაობს, ხოლო წლის ბოლოს მათი რიცხვი 200-მდე გაიზრდება და 1980 წლისათვის უკვე 500 სპეციალისტს ითვალისწინებს.

რ. ჭარცვიაძემ აქვე გვაჩვენა სამი სხვადასხვა სახის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის ნიმუშები, რომლებიც აქ უკვე შეიქმნა. ერთ-ერთი გამოცდას გადის ალბეთის მეკენაფეობის რაიონებში, და, როგორც წერილებიდან ჩანს, ძალიან მოსწონთ. ტრაქტორის ახალი ნიმუშების შექმნაზე განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს ინჟინრებმა შ. ელიავამ, ა. კომლაძემ, შ. ლომთაძემ და სხვებმა.

ქარხანაში დიდი მუშაობა გაწეულია ამ ტრაქტორების ტექნიკური შეიარაღებისათვის, დანადგარები მონტაჟდება ადგილობრივი ძალებით, ამ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობენ მთავარი ინჟინრის მოადგილე ფ. ბენინძე და მთავარი ტექნოლოგი ვ. მაღლაკელიძე. ქარხნის ტექნიკური შეიარაღების საქმეში ნაყოფიერად მუშაობს ავრეთვე ხარკოვის ელექტრო-სამონტაჟო-სარემონტო ბრიგადა. მალე ქუთაისში იგეგმება მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ახალი ქარხანა, საკონსტრუქტორო ბიუროსთვის მთავრდება 9

26 აპრილი

მსოფლიოს ამბები

დამთავრდა დაკარის კონფერენცია

დაკარი. (საკ**დესი**.). აქ გაიმართა საფრანგეთ-აფრიკის უმაღლესი დონის მე-4 კონფერენცია. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე აფრიკის 17 ქვეყნის წარმომადგენლები, აგრეთვე საფრანგეთის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დ'ესტენი. კონფერენცია მუშაობდა დახურულ დარბაზში. როგორც საბოლოო კომუნიკედან ჩანს, კონფერენციაზე განიხილეს ძირითადად საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები, საფრანგეთთან, აგრეთვე მთლიანად დასავლეთ ევროპასთან ამ აფრიკული ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობის საკითხები.

პარიზი. (საკ**დესი**). დაკარის კონფერენციის მონაწილეებმა ვერ გამონახეს დრო განეხილათ აფრიკის უფრო საჭირბოროტო პრობლემები, წერს გაზეთი „ლუმანიტე". იგი აღნიშნავს, რომ არავითარი კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა აფრიკული ქვეყნების დიდი საგარეო ვალი, უთანასწორობა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და აფრიკის სამეცნიერო დონეებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობაში. ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ აფრიკული ქვეყნების მთელი რიგი წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ დასავლეთს კონტინენტის ქვეყნებთან ასეთი ურთიერთობის გამო, კერძოდ, საფრანგეთს, — თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში დახმარების მკვეთრად შემცირებისათვის.

საფრანგეთის დედაქალაქში აღნიშნავენ, რომ დაკარში პოლიტიკურ ასპექტებს მეტი ყურადღება დაეთმო, ვიდრე ეკონომიკურს. აქ ყურადღებას ამახვილებენ საფრანგეთის მეთაურობით პოლიტიკურ-ეკონომიკური დაჯგუფების შექმნის ცდებზე. ამასთან ზოგიერთი პოლიტიკური მეთვალყურე ფიქრობს, რომ საქმე ეხება სამხედრო კავშირის შექმნის გეგმებს.

საფრანგეთის პრესის ზოგიერთი ორგანოს მონაცემებით, დაკარიდან გამგზავრების წინ ვ. ჟისკარ დ'ესტენმა სამხედრო საკითხებზე დახურულ დარბაზში მოაწყო მოლაპარაკება სპილოს ძვლის ნაპირის, ტოგოს, ნიგერის, ზემო ვოლტის სახელმწიფოების მეთაურებთან.

საფრანგეთ-აფრიკის შემდეგი კონფერენცია პარიზში გაიმართება მომავალი წლის მაისში.

ო. ტორიხოსის განცხადება

პანამა. (საკ**დესი**). **პანამის მთავრობა მზად არის ამერიკის შეერთებულ შტატებთან ხელი მოაწეროს არხის შესახებ მხოლოდ ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც უზრუნველყოფს პანამის სუვერენიტეტის აღდგენას 1903 წლიდან შეერთებული შტატების მიერ ოკუპირებული მისი ტერიტორიის ნაწილზე, განაცხადა პანამის მთავრობის მეთაურმა ომარ ტორიხოსმა გაზეთ „რეპუბლიკისათვის" მიცემულ ინტერვიუში.**

იმ დროს, აღნიშნა ო. ტორიხოსმა, როცა პანამის მხარე ამ საკითხზე პანამა-ამერიკის მოლაპარაკებაში მოითხოვს, რომ ორივე მხარე წავიდეს დათმობაზე, ამერიკა პირველ პლანზე საკუთარ ინტერესებს აყენებს. შეთანხმებისათვის კვლავ სერიოზული დაბრკოლებაა ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფება შეინარჩუნოს თავისი სამხედრო ყოფნა არხის ზონაში.

ო. ტორიხოსმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება არხის სტატუსის შესახებ განახლდება მაისში და მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს გაითვალისწინოს პანამელი ხალხის საარსებო და კანონიერი ინტერესები.

რასისტები ჯიუტობენ

მაპუტუ, (საკ**დესი**). **სოლსბერის რასისტული რეჟიმი სრულიადაც არ ფიქრობს იმაზე, რომ როდეზიაში ხელისუფლება აფრიკელთა უმრავლესობას გადასცეს.** პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში როდეზიის საგარეო საქმეთა „მინისტრმა" ვან დერ ბილმა ხაზი გაუსვა, რომ „კონსტიტუციური" მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ მმართველი თეთრკანიანი უმცირესობის პირობების საფუძველზე. ერთ-ერთი ასეთი პირობა, მისი თქმით, არის „ფრიად / მკაცრი საარჩევნო ცენზი" აფრიკელებისათვის. ამასთან „მინისტრის" განცხადებიდან ჩანს, რომ აფრიკის მოსახლეობის ნამდვილ წარმომადგენლებს ზამბიაველ პატრიოტული ფრონტის წევრთა სახით უარს ეუბნებიან საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლებაზე.

ვან დერ ბილი დაემუქრა თავისუფლებისათვის მებრძოლთ და მოსთხოვა შეწყვეტონ შეიარაღებული მოქმედება. მან უარყო მოთხოვნები, ბოლო მოუღონ რასისტულ წესებს, გაათავისუფლონ პოლიტიკური პატიმრები და შეწყვიტონ პატრიოტთა სიკვდილით დასჯა საპატიმროებში, რაც წინამძღვარი იქნება როდეზიის მომავლის შესახებ ახალი მოლაპარაკების დაწყებისათვის.

ვან დერ ბილმა მოუწოდა დასავლეთის ქვეყნებს „უფრო მეტი" გაგებით მოეკიდონ როდეზიის პრობლემას, ე. ი სხვანაირად რომ ვთქვათ, ამჯერად გამოვიდნენ თეთრკანიანი უმცირესობის მხარეზე.

□

გარემოს დასაცავად

გუშ. გარემოს დასაცავად, მისი გაჯუჯყიანების წინააღმდეგ იბრძვის დასავლეთ გერმანიის დედაქალაქში შექმნილი სამოქალაქო ინიციატივის ორგანიზაცია.

სურათზე: დემონსტრაცია ბონის მოუნსტერპლაცის მოედანზე, რომელიც გაიმართა ატომური მრეწველობის რადიოაქტიური ნარჩენების უკონტროლო გადაყრის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

მემარცხენე ძალების წარმატება

ტოკიო. (საკ**დესი**). **ნაგოის მცხოვრებთა უმრავლესობამ, რომლებიც ხაარჩევნო ყუთებთან მივიდნენ, ხმა მისცა იაპონიის მემარცხენე ძალების წარმომადგენელს, კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ერთიან კანდიდატს მასაო მოტოიამას — იგი ზედიზედ მეორედ გახდა ამ ქალაქის — ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო ცენტრის მერი.** მემარცხენე ძალების კანდიდატმა მოაგროვა 70 ათასით მეტი ხმა, ვიდრე მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა.

მ. მოტოიამას გამარჯვებას პრესა აფასებს, როგორც სერიოზულ ლახვარს იაპონიის კონსერვატიული ძალების და უწინარეს ყოვლისა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის და მმართველი წრეების პრესტიჟისათვის, რომლებიც კორუფციაში ჩაეფლნენ.

მსჯელობენ სამუსიკო პრობლემებზე

□

„დამთავრდა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითი პლენუმი

ერთი კვირის მანძილზე თბილისის საკონცერტო დარბაზებში ელერდა ქართველ კომპოზიტორთა მუსიკა. პლენუმის პროგრამით გათვალისწინებულმა ნაწარმოებებმა მსჯელობის საბაბი აღძრა. გუშინ, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში კომპოზიტორები და მუსიკათმცოდნენი მოსმენილის შესახებ აზრის გასაზიარებლად შეიკრიბნენ.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა მუსიკათმცოდნე გ. ორჯონიკიძემ წაიკითხა მოხსენება, რომელშიც აღნიშნა: ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები მოსმენისას საყურადღებოა თემატიკური სიახლე, პლენუმმა კომპოზიტორების პროფესიული დონის ამაღლება დაადასტურა, შესრულდა რამდენიმე ისეთი ნაწარმოები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება ჰპოვა, საინტერესოა, რომ კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს კომპოზიტორთა ყველა თაობის წარმომადგენლებმა, რაც მათს შემოქმედებით აქტივობაზე მეტყველებს.

ჰქონდა პლენუმს თავისი ხარვეზებიც. პროგრამით გათვალისწინებული ბევრი ნაწარმოები არ შესრულდა, ობიექტური მიზეზების გამო არ მიუღია მონაწილეობა კონცერტებში ოპერისა და ბალეტის თეატრს, სამწუხაროდ, ცუდად იყო შედგენილი ანოტაციები. არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი საგუნდო მუსიკა. პლენუმის უდაოო ღირსებად წარმოგვიდგება მასში ახალგაზრდობის ფართოდ მონაწილეობა, თუმცა ახალგაზრდა კომპოზიტორების ყველა ნაწარმოები არ არის პროფესიული თვალსაზრისით ერთნაირად სრულყოფილი.

პლენუმზე გამოსულმა მუსიკოსებმა — ეროვნულმა გ. ჩებოტარიანმა, მოსკოველებმა ი. ნესტევმა, ი. სოლოდუხომ, ა. მედვედევმა, კიეველმა ე. მაიბუროვამ, თბილისელებმა მ. ფიჩხაძემ, ლ. კილაძემ, ნ. გაბუნიამ ილაპარაკეს სიმუსიკო პრობლემებზე.

პლენუმმა ქართული მუსიკალური პროფესიული დონის განუხრელი ზრდა დაადასტურა.

დასასრულ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა გ. ორჯონიკიძე.

„კომუნისტის" სპეც. კორ.

ᲐᲕᲘᲜᲓᲘ

გუშინ 13 საათზე დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში წვიმდა. ყველაზე მეტი სითბო — 20 გრადუსი ქუთაისში აღინიშნა. დაბარჩენ დაბლობ რაიონებში 14-20, მთებში 9-14 გრადუსი აღინიშნა.

აღმოსავლეთ საქართველოში შშრალი ამინდი იდგა. დაბლობ რაიონებში 15-18, მთებში 8-12 გრადუსი იყო.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, წვიმა, მთებში თოვლი, სუსტი ქარი, დაბლობ რაიონებში 10-15, მთებში 3-6 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი.

თბილისში მოსალოდნელია უმნიშვნელო წვიმა, იქროლებს ნამში 5-10 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 16-13 გრადუსი.

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ 350-ᲐᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ. ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲔᲠᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲣᲨᲝᲑᲡ. ᲐᲕᲓᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲙᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲕᲐ ᲨᲔᲣᲨᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲬᲧᲝ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲕᲐ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲒᲘ ᲛᲔᲝᲗᲔᲯᲔᲯᲘ ᲐᲛᲐᲓᲘ ᲡᲐᲜᲐᲪᲚᲝᲒᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲤᲠᲗᲐᲖᲔ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲛᲣᲭᲐᲠᲐ. 40 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝᲛ. ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲞᲝᲬᲝᲜᲘᲡ ᲣᲐᲚᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲔᲖᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲝᲑᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲗ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ.

ᲐᲛ ᲡᲐᲜᲐᲪᲚᲝᲒᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲤᲠᲗᲐᲖᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝᲛ. ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲞᲝᲬᲝᲜᲘᲡ ᲣᲐᲚᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲔᲖᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲡ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲙᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲕᲐ ᲨᲔᲣᲨᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲬᲧᲝ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲕᲐ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲒᲘ ᲛᲔᲝᲗᲔᲯᲔᲯᲘ ᲐᲛᲐᲓᲘ ᲡᲐᲜᲐᲪᲚᲝᲒᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲤᲠᲗᲐᲖᲔ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲛᲣᲭᲐᲠᲐ. ᲛᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲞᲝᲬᲝᲜᲘᲡ ᲣᲐᲚᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲔᲖᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲡ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲘᲗ